

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის განხორციელების პრობლემები

გეგმიური ამბულატორიული მომსახურების
კომპონენტი

აპრილი, 2013

პირველადი ჯანდაცვა: კონტექსტი

- რა არის პირველადი ჯანდაცვა, ვინ არის პჯდ სერვისის მიმწოდებელი და როგორია მარეგულირებელი გარემო, რომელიც ხელს უწყობს პჯდ-ს შეასრულოს თავისი ორგანული ფუნქციები
- პჯდ ინფრასტრუქტურა არაერთგვაროვანი (არასტანდარტული) და ბევრგან უკიდურესად მოძველებული
- პჯდ ადამიანური რესურსის დაბალი ფინანსური მოტივაცია
- პჯდ და სპეციალიზებულ სამსახურებს შორის სუსტი კავშირები


კონტექსტი

პირველადი ჯანდაცვა საქართველოში


	2007	2011	EU უახლესი მონაცემები
ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში 1 სულზე მომართვები	2	2.1	6.97
ამბ-პოლიკლინიკური დაწესებულებების დატვირთვა	36%	44%	-
ერთ სულ სოფლის მოსახლეზე მიმართვები		0.55-0.98	-
პირველი ვიზიტი პჯდ დაწესებულებაში	52.7%	50.9%	-

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა

მეზავრობის წილი, რომელიც ჩვეულებრივად შეუძლიათ იმ სამედიცინო დაწესებულებამდე 30 წუთის განმავლობაში მისვლა, სადაც ისინი ჩვეულებრივ ხვდებიან ექიმს



სამედიცინო დაწესებულებების წილი, სადაც ექიმი იმყოფება 5 ან მეტი დღე კვირაში



ფინანსური ხელმისაწვდომობა პჯდ სამსახურებზე

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების სახელმწიფო პროგრამა
- 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა) სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამა
- სოფლის ექიმის პროგრამა
- 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელმაც მოხსნა ფინანსური ბარიერი პჯდ სერვისებზე მთელი მოსახლეობისთვის

პროგრამის მიზანი:

- პჯდ მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ამბულატორიული მომსახურების მოხმარების გაზრდა ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალური მომსახურების მოხმარების რაციონალიზაციის მიზნით;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მომსახურების მოცულობა და სახეები

- ვიზიტი პჯდ ექიმთან (ოჯახის ექიმი და უბნის ექთანი)
 - ✓ დიაგნოსტიკა, მართვა და რეფერალი
 - ✓ პრევენციული ღონისძიებები
- შარდის ანალიზი და გლუკოზა პერიფერიულ სისხლში
- სისხლის, შარდის საერთო ანალიზი
- ელექტროკარდიოგრაფია სამედიცინო საჭიროების მიხედვით

- კლასიკური განმარტებით პჯდ მომსახურება არის ყოვლისმომცველი, ეფექტური, ეფექტიანი და პრევენციაზე ორიენტირებული;
- პაკეტის შეზღუდული მოცულობა არ იძლევა ბაზისური პრევენციული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობას საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტების შესაბამისად.

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა

- პროგრამაში მონაწილეობისთვის მკაცრი კრიტერიუმების არ არსებობის გამო მნიშვნელოვნად გაფართოვდა მიმწოდებლების ქსელი
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის პირობებში, მიმწოდებლების შესაძლებლობების შეფასების სისტემის გარეშე, მაღალია ხარისხის გაუარესების რისკი.

სამედიცინო სამსახურების მოხმარების რაციონალიზაცია

- სამედიცინო დაწესებულების მოტივაცია თავიდან აიცილოს არასაჭირო რეფერალი, დაბალია
- პროგრამის ბიუჯეტი ემყარება გაანგარიშებას ერთ სულზე 1.11 ლარის ოდენობით, ხოლო უზარალო წარმოება/რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 1 გუნდზე 2600 პაციენტს მინიმუმ 5-გუნდიანი პრაქტიკის პირობებში.
- პროგრამაში ამჟამად მონაწილე დაწესებულებებში რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა კრიტიკულზე ბევრად ნაკლებია, რაც აჩენს ეჭვს, რომ პჯდ ექიმთა პაციენტების მოზიდვა დაწესებულებისთვის სპეციალიზებული და დიაგნოსტიკური სერვისების დატვირთვის კარგი საშუალებაა-რაციონალიზაციის ნაცვლად გაუმართლებელი, ქარბი მოხმარების რისკი

სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა

- სამედიცინო პრაქტიკის წარმოება ნაციონალური გაიდლაინებისა და/ან აღიარებული საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად ძნელი შესასრულებელია:
 - სამედიცინო პერსონალის დაბალი მოტივაცია
 - პროგრამაში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის განვითარებისთვის ფინანსური რესურსის არარსებობა

პროგრამის განხორციელების პროცესის სირთულეები

- მოკლე მოსამზადებელი პერიოდი
- პროგრამის დროულად ამოქმედებისთვის, შემსყიდველს ანუ სახელმწიფოს თავად უნდა უზრუნველყო მოსარგებლე კონტინენტის იდენტიფიცირება და საწყისი მიმაგრება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპით
- თავისუფალი არჩევანის უფლების დაცვა ყოველთვის შესაძლებელია გადამაგრების მოთხოვნის საფუძველზე
- ბუნდოვანია პროგრამის ადმინისტრირების წესი, ანაზღაურებული თანხის სრულად უკან დაბრუნების საფუძველი (მაგ. თუ სრულად არ ჩატარებულა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება) და საჯარიმო სანქციები, რაც რთულ პირობებში აყენებს პროგრამის მიმწოდებლებს.

პრობლემები და გადაჭრის გზები

პრობლემა	შესაძლო გადაწყვეტა
პროგრამის მოცულობა არ იძლევა პირველადი ჯანდაცვის ძირითადი ფუნქციების განხორციელების საშუალებას-მეტად ორიენტირებულია პაციენტების სურვილებზე, ვიდრე მტკიცებულებებსა და საჭიროებებზე	მომსახურების პაკეტის რევიზია ეფექტიანი პჯდ სერვისების ნუსხის გათვალისწინებით
ხელმისაწვდომობა-დაბალი ხარისხის სერვისებთან და სპეციალიზებული სამსახურების არარაციონალური მოხმარების მაღალი რისკი	პროგრამაში მონაწილეობისთვის მიმწოდებლების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება და ამოქმედება; სამედიცინო პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა რესურსის ხარისხის შიდა სისტემის განვითარებისთვის
პაციენტის „თავისუფალი არჩევანის“ უფლების დაცვა, მაგრამ არავითარი გარანტია ხარისხიანი მომსახურების მიღებაზე	ზღვრული რენტაბელობისა და ოპტიმიზაციის გათვალისწინებით ბაზისური პაკეტის ღირებულების გადახედვა
მომსახურების მიმწოდებლებისთვის პროგრამის განხორციელების სირთულე ბუნდოვანი ადმინისტრაციული და გაუმართლებლად მკაცრი პირობების გამო	საჯარიმო სანქციებისა და თანხის დაბრუნების საფუძვლებისთვის დეტალური და დასაბუთებული განმარტებების მომზადება შემსყიდველის მიერ.
პროგრამის ფარგლებში ანგარიშგებისა და პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების გართულებული წესები არსებული საინფორმაციო სისტემების პირობებში. ასევე, სამედიცინო ცნობების გაცემის ბუნდოვანი წესები.	ანგარიშგებისა და პირველადი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესების გადახედვა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა. ცნობების გაცემის წესების შემუშავება.

ზოგადი რეკომენდაციები პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებისთვის

- საფუძვლიანი სიტუაციური ანალიზის ჩატარება პჯდ ფიზიკური ინფრასტრუქტურისა და ძირითადი ფუნქციური მახასიათებლების შესწავლის მიზნით (ბოლოს ჩატარდა 2005 წელს)
- პჯდ ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის მარეგულირებელი გარემოს შემუშავება
- პჯდ სერვისების დაფინანსების ეფექტური მექანიზმების შემუშავება და დანერგვა
- პჯდ-სთვის ადამიანური რესურსის განვითარების გეგმა
- პჯდ-ში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვა